ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი №2

ქ. ახმეტა

10 იანვარი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: თ. წითელაური, ნ. აბალოიძე, ლ. გოგოთიძე, თ. ყეინიშვილი, გ. ქიტესაშვილი, გ. მაისურაძე, თ. ბორჩაშვილი, ა. მექვევრიშვილი, ი. უჯირაული რ. ბაღაკაშვილი, დ. მურთაზაშვილი,თ. ბოდაველი, ც. გრძლივანიშვილი, ა. ძეგველიშვილი, ვ. დედაბრიშვილი, ზ. გარსევანიძე.

სხდომა გაიხსნა 12 00 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.”

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს:. ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - არსენ ბუღრიძე/

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი:

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში, სახელმწიფომ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის შეისყიდა 3 ერთეული კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა და 100 ერთეული ნარჩენების კონტეინერი, რისთვისაც საჭიროა (საკუთარი შემოსავლების სიმცირის გამო) სსიპ -საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხის აღება 10 წლიანი ვადით 617928 ლარი, რომლის საშეღავათო პერიოდია 2019 წლის 28 ოქტომბრამდე. საპროცენტო განაკვეთი: ცვლადი +0,5%. გაცემის საკომისიო - სესხის თანხის 1%.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

მომხრე - 13

წინაადმდეგი - 2

თავი შეიკავა - 2

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №1 „ ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.”

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა, დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12[15] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: გელა ჯუგაშვილი